ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2025 წლის 14 ნოემბერი

ქ. ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხა დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №20 დადგენილება (www. Matsne.gov.ge, 23.01.2025 წ, 010250050.35.125.016566).

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 14 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **იზოლდა ნემსაძე**

დანართი №1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	სახელფასო კოეფიციენტი	საბაზისო თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგო	ხელფასის ფონდი
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1			6002	6002
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1			4537	4537

3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2			3957	7914
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5			3218	16090
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2			2928	5856
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7			2347	16429
	სულ:	**18**				56828
	საკრებულოს აპარატი					
1	III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში)	1	1,3	1460	1898	1898
2	III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	1,3	1460	1898	1898
3	III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სხდომების ადმინისტრირებისა და საოქმო საკითხებში)	1	1,3	1460	1898	1898
	სულ:	3				5694
	სულ: ჯამი	21				62522

დანართი №2

№	ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციის დასახელება		სარგო (ლარი)
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	3358
	სულ:	1	3358

დანართი №3

№	შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციის დასახელება		სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	1700
2	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი	1	1400
3	მდივან-რეფერენტი	1	1550
4	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	1	1550
5	ანალიტიკისა და სტატისკის სპეციალისტი	1	1550

6	მძღოლი	1	1550
	სულ:	6	9300